შპს "საინჟინრო ნაგებობათა პროექტირების, კვლევის და ექსპერტიზის სამეცნიერო ცენტრი"
LTD "THE SCIENTIFIC CENTER OF ENGINEERING BUILDING DESIGNING RESEARCH AND EXPERTISE"
ტელ: 577588218 599179823; (032) 2227704
E-mail: d.tabatadze@gtu.ge

ვამტკიცებ,
დირექტორი:
დემური ტაბატაძე
/ხელმოწერა, ბ.ა/ */სახელი გვარი/*

"07" ივნისი 2023 წელი

ექსპერტიზის დასკვნა

დამკვეთის იდენტიფიკაცია: შპს ქართულ-ამერიკული რეპროდუქციული კლინიკა
საიდ. კოდი: ს/კ: 404945244
დირექტორი: ლია ჭყონია

დასკვნის შედგენის საფუძველი: **ხელშეკრულება №03/20-23 (20.03.2023 წ.)**

ექსპერტიზის ობიექტი: **ქ. თბილისი, საირმის ქუჩა №10ა და №10ბ-ში მდებარე (მიწის ნაკვეთზე ს/კ 01.10.14.027.103) არსებული შენობების 01/1, 02/1, 03/1 და 04/1 და (მიწის ნაკვეთზე 01.10.14.027.104) არსებული შენობის 01/1 სადემონტაჟო სამუშაოთა ორგანიზაციის პროექტი**

ექსპერტიზის ამოცანა: **ქ. თბილისი, საირმის ქუჩა №10ა და №10ბ-ში მდებარე (მიწის ნაკვეთზე ს/კ 01.10.14.027.103) არსებული შენობების 01/1, 02/1, 03/1 და 04/1 და (მიწის ნაკვეთზე 01.10.14.027.104) არსებული შენობის 01/1 დემონტაჟის სამუშაოების გავლენა მომიჯნავედ არსებულ შენობა-ნაგებობებზე: ს/კ 01.10.14.027.107, ს/კ 01.10.14.027.021 და ს/კ 01.10.14.027.058**

თბილისი
2018 წელი

შემადგენლობა

1. ინსპექტირების შემსრულებელები - - - - - - - - - - - - - - - - - - 3
2. გამოყენებული ნორმატიული დოკუმენტები - - - - - - - - - - - - - - - - - - 3
3. წარმოდგენილი მასალები - - - - - - - - - - - - - - - - - - 4
4. კვლევითი ნაწილი - - - - - - - - - - - - - - - - - - 5
5. დასკვნა - - - - - - - - - - - - - - - - - - 7



ინსპექტირების შემსრულებლები

დემური ტაბატაძე – განათლება უმაღლესი, კვალიფიკაცია: ინჟინერ-მშენებელი, ტექნ. მეცნ. კანდიდატი მშენებლობის დარგში, სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის კათედრის პროფესორი საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, საინჟინრო აკადემიიის აკადემიკოსი, მუშაობის სტაჟი – 43 წელი.

გამოყენებული ნორმატიული ლიტერატურა

1. საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილება „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“;
2. საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების შესახებ;
3. სნ და წ 3.01.01-85 „სამშენებლო წარმოების ორგანიზაცია“;
4. სნ და წ 12.04-2004 „მშენებლობის ორგანიზაცია“;
5. სნ და წ 2.01.02-85 „ხანძარსაწინააღმდეგო ნორმები მშენებლობაზე“.

წარმოდგენილი მასალები

1. ქ. თბილისი, საირმის ქუჩა №10ა და №10ბ-ში მდებარე (მიწის ნაკვეთზე ს/კ 01.10.14.027.103) არსებული შენობების 01/1, 02/1, 03/1 და 04/1 და (მიწის ნაკვეთზე 01.10.14.027.104) არსებული შე-ნობის 01/1 სადემონტაჟო სამუშაოთა ორგანიზაციის პროექტი – ელ.ვერსია PDF-ფაილი;
2. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
3. საკადასტრო აზომვითი ნახაზი.

კვლევითი ნაწილი

შესავალი

ექსპერტის ამოცანას წარმოადგენს:

ქ. თბილისი, საირმის ქუჩა №10ა და №10ბ-ში მდებარე (მიწის ნაკვეთზე ს/კ 01.10.14.027.103) არსებული შენობების 01/1, 02/1, 03/1 და 04/1 და (მიწის ნაკვეთზე 01.10.14.027.104) არსებული შე-ნობის 01/1 სადემონტაჟო სამუშაოთა გავლენა მომიჯნავედ არსებულ შენობა-ნაგებობებზე, კერძოდ ს/კ 01.10.14.027.058 (აღმოსავლეთის მხრიდან), ს/კ 01.10.14.027.107 (დასავლეთის მხრიდან) და ს/კ 01.10.14.027.021 (სამხრეთის მხრიდან) მდებარე ნაკვეთებზე არსებულ შენობა-ნაგებობებზე.

კვლევა

დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტი შედგენილია 2022 წელს. სადემონტაჟო ობიექტი მდებარეობს ქ. თბილისი, საირმის ქუჩაზე №10ა და №10ბ-ში ერთმანეთის მომიჯნავე ნაკვეთებზე საკადასტრო კოდებით 01.10.14.027.103 და 01.10.14.027.104. დემონტაჟის პროექტი ექსპერტიზაზე წარმოდგენილ იქნა ელ.ვერსიის სახით. იგი შესრულებულია 20 ფურცლისგან შედგენილ ალბომის სახით. დემონტაჟის პროექტში მოცემულია:

- განმარტებითი ბარათი:
  - ✓ შესავალი;
  - ✓ სადემონტაჟო მოედნისა და სადემონტაჟო ობიექტის დახასიათება;
  - ✓ სამშენებლო მოედნის ორგანიზება და მოსამზადებელი სამუშაოების აღწერა;
  - ✓ დემონტაჟის საინჟინრო მომზადება და მითითებები სადემონტაჟო სამუშაოთა წარმართვაზე;
  - ✓ სადემონტაჟო სამუშაოთა ხანგრძლივობა;
  - ✓ სადემონტაჟო სამუშაოთა რიგითობა და ეტაპები;
  - ✓ უსაფრთხოების ტექნიკა;
  - ✓ ბუნების დაცვა და ეკოლოგია;
  - ✓ რეკომენდირებული მანქანა-მექანიზმების, სპეც.ავტო-ტრანსპორტისა და ხელსაწყოების უწყისი;
- სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების კალენდარული გეგმა. „მოპ-1“;

- სამშენებლო მოედანზე სამშენებლო მანქანა-მექანიზმებისა და სპეც.ავტო-ტრანსპორტის გადადგილების გრაფიკული ნაწილი.

სადემონტაჟო ობიექტი წარმოადგენს ოთხ ერთმანეთის მომიჯნავედ და ერთ დამოუკიდებლად მდებარე შენობა-ნაგებობას, რომლებიც განთავსებულია ორ საკადასტრო საზღვარში მოქცეულ მიწის ნაკვეთზე. სადემონტაჟო შენობა-ნაგებობები წარმოადგენს ძირითადად ბარაკის ტიპის ნაგებობებს, რომელთა მზიდი კონსტრუქციული ელემენტების სამშენებლო მასალად გამოყენებულია ბეტონი, აგური, ხე-ბურბუშელოვანი ფილები, ბლოკი, „ალიზი“, ცემენტ-ქვიშის ხსნარი. ნაგებობები გადახურულია ქანობიანი სახურევებით ე.წ. „შიფერი“-ს ბურულით. წარმოდგენილი დემონტაჟის პროექტით გათვალისწინებულია ხუთივე შენობა-ნაგებობების დემონტაჟი მიმდევრობითი მეთოდით, ზემოდან-ქვემოთ მიმართულებით.

სადემონტაჟო შენობა-ნაგებობები განთავსებულია ქანობიან რელიეფზე. ნაკვეთს ესაზღვრება: ჩრდილოეთიდან საირმის ქუჩა; აღმოსავლეთის, დასავლეთის და სამხრეთის მხრიდან კერძო საკუთრებაში არსებული ნაკვეთები. აღმოსავლეთის მხრიდან მდებარე ნაკვეთზე (ს/კ 01.10.14.027.058, სულხან ცინცაძის №17) განთავსებულია 3 შენობა-ნაგებობა (01/7 7 სართულიანი, 02/1 ერთსართულიანი და 03/1 ერთსართულიანი) ჩამოთვლილთაგან 02/1 შენობა განთავსებულია სადემონტაჟო ნაკვეთის მხარეს და სადემონტაჟო შენობებისაგან მოშორებულია დანარჩენი ორი შენობა-ნაგებობა არ ემიჯნება სადემონტაჟო ტერიტორიას. დასავლეთის მხრიდან მოსაზღვრე ნაკვეთზე (ს/კ 01.10.14.027.107, საირმის ქუჩა №12) განთავსებულია 5 შენობა-ნაგებობა (ერთი ორსართულიანი, დანარჩენი ერთსართულიანი) და სამხრეთის მხრიდან (ს/კ 01.10.14.027.021, სულხან ცინცაძის ქუჩა №27) 3-სართულიანი საცხოვრებელი დანიშნულების შენობა.

სადემონტაჟო შენობა-ნაგებობებია ს/კ 01.10.14.027.103 ნაკვეთზე 1/1, 2/1, 3/1 და 4/1 და ს/კ 01.10.14.027.104 ნაკვეთზე 1/1. დემონტაჟის პროექტის თანახმად მათი დემონტაჟის დროს გათვალისწინებულია მსუბუქი, ხელის მექანიზმების გამოყენება, სამუშაოების განხორციელების პერიოდი კი მოიცავს 4 თვეს.

მითითებულია, სამუშაო წარმოების პროექტის დამუშავების პირობები და განსაზღვრულია დემონტაჟის თანმიმდევრობა, რომელიც ითვალისწინებს:

- მოსამზადებელ პერიოდი – სამშენებლო მოედნის მოწესრიგება, ტერიტორიის შემოზღუდვა (საჭიროების შემთხვევაში); სამშენებლო ბანერის მოწყობა; სამუშაოთა მწარმოებლისათვის და მომუშავეთათვის ფართების მოწყობა; მიწისქვეშა და მიწისზედა საინჟინრო კომუნიკაციების გადატანა, ტერიტორიის მოსუფთავება.

- სადემონტაჟო სამუშაოები – შენობა-ნაგებობის სახურავის, კედლების, ტიხრების და საძირკვლების დემონტაჟი; სამშენებლო ნაგვისა და ნარჩენების გატანა და მიწის ნაკვეთის მოწესრიგების სამუშაოების განხორციელება. სადემონტაჟო სამუშაოების განხორცეილება გათვალსიწინებულია ზემოდან ქვემოთ მიმართულებით, მიმდევრობითი მეთოდით.

დემონტაჟის პროექტში მითითებულია დემონტაჟის სამუშაოების დროს გასათვალისწინებელი აკრძალვები, უსაფრთხოებისა და დამატებითი ღონისძიებები დეტალურად.

დემონტაჟის კალენდარული გრაფიკით სამუშაოთა დაწყება-დასრულების პერიოდი განსაზღვრულია პირობითად და მიღებულია 4 თვე (16 კალენდარული კვირა).

პროექტში ასევე წარმოდგენილია სადემონტაჟო სამუშაოების დროს გამოსაყენებელი მექანიზმების უწყისი და მათი დახასიათები.

გრაფიკულ ნაწილში წარმოდგენილია სადემონტაჟო სამუშაოების გაშლის გენერალური გეგმა და აღნიშვნებითა და ექსპლიკაციით და სადემონტაჟო სქემა.

დემონტაჟის პროექტი დამუშავებულია შესაბამისი მოთხოვნების გათვალისწინებით და მის მიმართ ექსპერტიზას შენიშვნები არ აქვს.

ექსპერტიზაზე წარმოდგენილ დემონტაჟის პროექტში გათვალისწინებული სადემონტაჟო სამუშაოების წარმოება, მათი გაშლის არეალი და გამოყენებული მანქანა-მექანიზმები, სადემონტაჟო და სამეზობლო შენობა-ნაგებობების ურთიერთგანთავსება უარყოფით გავლენას არ მოახდენს ს/კ 01.10.14.027.021 მდებარე 3-სართულიან (დაშორებულია 4 მ-ით) შენობა-ნაგებობაზე და ს/კ 01.10.14.027.058-ზე მდებარე 02/1 შენობა-ნაგებობაზე (სადმონტაჟო ტერიტორიას მოშორებულია 3 მ-ით), რაც შეეხება ს/კ 01.10.14.027.058-ზე მდებარე დანარჩენ ორ შენობას ისინი სადემონტაჟო შენობებისგან გამოყოფილია შენობა 02/1-ით, შესაბამისად მათზე გავლენა დემონტაჟის პროცესს ვერ ექნება. რაც შეეხება ს/კ 01.10.14.027.107 მდებარე შენობა-ნაგებობობებს, ამ შემთხვევაში აუცილებელია შენარჩუნებული იქნას სადემონტაჟო შენობებთან მომიჯნავედ არსებული მზიდი კედლები, ხოლო მათ სიახლოვეს დემონტაჟის სამუშაოები განხორციელდეს მცირე ვიბრაციის მქონე ხელის მექანიზმებით. აქვე უნდა ითქვას, რომ სადემონტაჟო შენობა-ნაგებობებს არ აქვს სარდაფი, ამიტომ სადემონტაჟო სამუშაოების წარმოება ხდება მიწის სამუშაოების განხორციელების გარეშე, რაც თავისთავად გამორიცხავს გრუნტის დაზიანებას.

დასკვნა

ქ. თბილისი, საირმის ქუჩა №10ა და №10ბ-ში მდებარე (მიწის ნაკვეთზე ს/კ 01.10.14.027.103) არსებული შენობების 01/1, 02/1, 03/1 და 04/1 და (მიწის ნაკვეთზე

01.10.14.027.104) არსებული შენობის 01/1 სადემონტაჟო სამუშაოთა ორგანიზაციის პროექტი შედგენილია კარგ დონეზე, სრული მოცულობით, მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების გათვალისწინებით.

ქ. თბილისი, საირმის ქუჩა №10ა და №10ბ-ში მდებარე (მიწის ნაკვეთზე ს/კ 01.10.14.027.103) არსებული შენობების 01/1, 02/1, 03/1 და 04/1 და (მიწის ნაკვეთზე 01.10.14.027.104) არსებული შენობის 01/1 დემონტაჟის სამუშაოები, მომიჯნავედ არსებულ ჩრდილოეთის მხრიდან მდებარე სულხან ცინცაძის №27-ში მდებარე ნაკვეთზე (ს/კ 01.10.14.027.021) 3-სართულიანი საცხოვრებელი დანიშნულების შენობაზე დემონტაჟის პროექტში მითითებული სამუშაოების, მათი გაშლის არეალისა და გამოყენებული მანქანა-მექანიზმების, ასევე სადემონტაჟო და სამეზობლო შენობა-ნაგებობებს შორის არსებული მანძილის გათვალისწინებით, უარყოფით გავლენას არ იქონიებს.

ქ. თბილისი, საირმის ქუჩა №10ა და №10ბ-ში მდებარე (მიწის ნაკვეთზე ს/კ 01.10.14.027.103) არსებული შენობების 01/1, 02/1, 03/1 და 04/1 და (მიწის ნაკვეთზე 01.10.14.027.104) არსებული შენობის 01/1 დემონტაჟის სამუშაოები, მომიჯნავედ არსებულ აღმოსავლეთის მხრიდან, სულხან ცინცაძის №17-ში მდებარე ნაკვეთზე (ს/კ 01.10.14.027.058) განთავსებულ შენობა-ნაგებობებზე დემონტაჟის პროექტში მითითებული სამუშაოების, მათი გაშლის არეალისა და გამოყენებული მანქანა-მექანიზმების, ასევე სადემონტაჟო და სამეზობლო შენობა-ნაგებობებს შორის არსებული მანძილის გათვალისწინებით, უარყოფით გავლენას არ იქონიებს.

ქ. თბილისი, საირმის ქუჩა №10ა და №10ბ-ში მდებარე (მიწის ნაკვეთზე ს/კ 01.10.14.027.103) არსებული შენობების 01/1, 02/1, 03/1 და 04/1 და (მიწის ნაკვეთზე 01.10.14.027.104) არსებული შენობის 01/1 დემონტაჟის სამუშაოები, მომიჯნავედ არსებულ დასავლეთის მხრიდან მდებარე საირმის ქუჩა №12-ში მდებარე ნაკვეთზე (ს/კ 01.10.14.027.021) ხუთ საცხოვრებელი დანიშნულების შენობაზე დემონტაჟის პროექტში მითითებული სამუშაოები, მათი გაშლის არეალისა და გამოყენებული მანქანა-მექანიზმების, უარყოფით გავლენას არ იქონიებს, იმის გათვალისწინებით რომ აუცილებელია არსებული მომიჯნავე შენობების და სადემონტაჟო შენობა-ნაგებობების მიჯნაზე არსებული კედლების შენარჩუნება და მათ მიმდებარედ სადემონტაჟო სამუშაოების ხელის მსუბუქი მექანიზმებით მუშაობა მიმდევრობითი მეთოდით.

აღნიშნულიდან გამომდინარე დემონტაჟის პროექტს ეძლევა დადებითი შეფასება. კვლევის ანგარიში შეადგინა:

ექსპერტი: /დ. ტაბატაძე/